საქართველო

ნალინადი გაზეთი

კვირა, 2 გიორგობისთვე 1919 წ. № 238

ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში, 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

მიხეილის

შაბათ დან, 1 გიორგობისთვიდან

დაიდგმება

კავკასიაში ჯერ არ-დადგმული

რისთვის?

(ავ ატორის ჯეჯი ხეთური შურისძიება)

მოსკოვის სამხატვრო თეატრის არტისტების გ. №, ხმაროს, ი. ზმიევოისა და ვ ხკრიაბინის მონაწილეობით.

პლეხანოვის ქუჩა, 91 სახ. უნივერსიტ. გვერდით

უზრუნველყოფილი ხართ თუ არა ამ ზამთარს სათბობით?

თუ არა მაშინ შეიძინეთ ქვა-ნახშირი — შეშის ნაცვლად.

ქვა ნახშირი ორჯერ მეტად ძალის სითბოსაა ვიდრე საუკეთესო ხარისხის შეშა და ამასთანავე ჯდება იაფადაც. იხმარება გერმეტიულ და სამზარეულო ღუმელებში. შეკვეთა მიიღება როგორც დიდი ისე პატარა პარტიებით. მოითხოვეთ მხოლოდ ტყიბულის ქვა-ნახშირი, ნუ შეურევთ სხვა იაფ ფასიან გელათის ქვა-ნახშირთან. ჩვენი ქვანახშირის მიღება მხოლოდ შეიძლება ვაჭრობა-მრეწველობის სააგენტოში ინჟინერ ციციშვილთან და ამხანაგობასთან. კონტორა გრიბოედოვის და კრუზენშტეინის კუთხიდან:

საწყობების მისამართი: 1) კუკიის შესახვევში № 5 და 2) მუხრანის — № 25. ჩვენ სუბ-აგენტთან ტერ-პოღოსიანთან, ტელ. № 11-45.

მსურველთ მიუტანთ ქვა-ნახშირს სახლში.

215 10—4

კინემო. მინიონი

ბარიატინის და გოლოვ. ქ. კუთხე.

2, 3 და 4 გიორგობისთვის

ჩვენს ეკრანზედ ნაჩვენები იქნება

ალიაქოთი

კინო პიესა 4 ნაწილად

მსახიობ

სტრიჟევსკის

გრომკის,

ვალდირევის,

ნევიროვსკაიას

და სხ. მონაწილეობით.

სეანსების დასაწყისი 5 საათზე.

დღეს კინო პალასი დასაწყისი დემონსტრ. გრანდიოზულ დადგმისა.

ეპოქები 1-ლი 2-ე (7 ნაწ.) ედმონდ დანტესისა

მსოფლიოში ცნობილ ფირმის „ძმ. პატე“ ახალი გამოცემა. სერია „ფილმ დ არა“. შედევრი თანამედროვე კინემატოგრაფისა.

გრაფ მონტე-კრისტო 8 ეპოქად

ა. დიუმას უკვდავ რომანით. პარიზელ თეატრების საუკეთესო ძალთა მონაწილეობით. დაწვრილებით პროგრამებში.

მუსიკ. ილუსტრაცია ცნობილ იმპროვიზატორის ნ. ხელთაკოვისა

სეანსების დასაწყისი კვირას 5 ს. ისე დღეებში 6 საათზე

კვირას, 2 გიორგობისთვეს აპოლლო ორიგინალური დადგმა.

„ცოცხალი მომღერალი სურათი“ სახელგანთქმული ოპერეტტა-შარჟი—ეკრანზე.

ივანოვ პაველ

3 რაპსოდისა. ავტორის სცენარიითა და მონაწილეობით. ვოკალურ ნაწილის დადგმა ზლობინისა.

სრული ილლიუზია! ყველგან დიდი გამარჯვება!

ვისაც უნახავს „ივანოვ პაველ“ სცენაზე—მან უნდა ნახოს იგი ეკრანზე!

ზარი ბედნიერებისა ლამაზი ლეგენდა 2 ნაწილად.

ფილმა კინო-თეატრი № 3. ოლღის ქუჩა

დღეს ჩვენს ეკრანზე ულამაზესი ქალი ევროპისა, ცნობილი და შეუდარებელი

ნინა მენიჩელლი

თვალწარმტაც დრამაში

ოქროსული დალალი

4 ნაწილად

მისამსახურე № 3. მხიარული კომედია 2 ნაწ. სკანდალის მონაწილეობით

„საერო“-ს ღვინის განყოფილება,

რომელიც იმყოფება ავლაბარში, კახეთის ქუჩაზედ, № 2 კვლავ განვაახლე. გვაქვს ყოველნაირი ახალ-ახალი სანოვაგე დაჯილდოებული მაგარი სასმელები სხვა და სხვა ფირმისა.

2632 6-3 პატივისცემით ზაქარია ბენდიანიშვილი

სახელმწიფო თეატრი

კვირა, 9 გიორგობისთვე.

ვასილ ბარნოვის

იუბილე

(1 უ.)

ცენტრალური სასურსათო საბჭო ჰყიდის

ბოსტნეულს და შაქარს.

ფასების გაგება შეიძლება საქმეთა მმართველთან, საბჭოს ბინაზე (მადათოვის ქუჩა, № 3), დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 საათამდე.

229 3—3

კვირას, 2 გიორგობისთვეს დილის 11 საათზე მეორმოცე დღის

მატრონა დანიელის ასული ცინცაძისა

მიცვალებულისა ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში, ქ. თფილისში, გადახდილი იქნება წირვა და შემდეგ იქვე, ტაძრის გალავანში, მიცვალებულის საფლავზე, პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები მიცვალებულის

(2639—2—2

თავზარ დაცემული მეუღლე დარია შამშეს ასული შვილებით: ნიცა, სალომე, ლევან, ნიკოლოზ და მელიტონ, ძმა პეტრე ივანეს ძე და, დაი ბაბუცა—რძალი მარიამ ნიკოლოზის ასული აბდუშელიშვილები — სიძენი რუბენ ციცქორიძე და ანდრონიკაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

იოსებ (ჭიჭიკო) აბდუშელიშვილი

გასვენება მოხდება 4 გიორგობისთვეს (ახალი სტილით) სოფ. პასიეთში და დაკრძალვა იმავე დღეს იახვისის იოანე ნათლის მცემლის ეკლესიაზე.

2649 1 1

ანასტასია ლუარსაბის ასული და ლუკა პავლეს ძე ნინიაშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თავის ძვირფასი ძმის

დიმიტრი იოსების ძის პიპნაძის

გარდაცვალებას. 31 ღვინობისთვეს, სად. 6 საათზე.

2648—1—1

მარიამ ლუარსაბის ასული კიკნაძისა და ალექსანდრე რევაზის ძე ბახუტაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველის დაუვიწყარ ქმრის და უკანასკნელის ძმის,

დიმიტრი იოსების ძის პიპნაძის

გარდაცვალებას 31 ღვინობისთვეს, სად. 6 საათზე. პანაშვიდი არის მიანცის საავადმყოფოს ეკლესიაში 1 ლ გიორგობისთვეს სად. 5 ს. და 2 გიორგობ. საღამოს 5 საათზე. მიცვალებულის გასვენება სად. ნავთლუღში 2 გიორგობისთვეს, პანაშვიდის შემდეგ. დაკრძალვა 4 გიორგობისთვეს, ქ. ფოლავს

2648—1—1

გაუბედურებული მეუღლე ნინა (ქენია) ლევანის ასული, შვილი კოლია, რძალი, და ძმისწული ნიკოლოზ პეტრეს ძე იოსელიანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ და მეგობრებს რომ 8 გიორგობისთვეს, დღისით შაბათს, ქ. ხაშურში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი ძვირფასის და დაუვიწყარის დამსახურებულ პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის

გიორგი ნიკოლოზის ძის იოსელიანის

გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო წირვა დაიწყება 10 საათზე.

2642—1—1

გულდამწვარნი და ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ბარბარე დავითის ასული კეშელავასი და შვილები: გიორგი და დარია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს 6 გიორგობისთვეს, დილის 11 ნახ. საათზე გადახდილი იქნება ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში წლის წირვა და პანაშვიდი

თადეოზ გიორგის ძის კეშელავას

სულის მოსახსენებლად.

2643—1 1

ღრმად დამწუხრებულნი ელ. საბედ ოქროპირის ასული და შვილები: ტიციანი, სიმონ, სოფია, იოსებ და ქ. თევდორე აუწყებენ ნათესავებს ნაცნობებს და მეგობრებს რომ ხ. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მღვდელი

იუსტინე სტეფანეს ძე ტაბიძე

დაკრძალვა მოხდება კვირას 2 ნოემბერს საგარეჯოს საყდარში

278—2—2

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ევგენი ზაქარიას ასული ანტონ მ ხეილისძე შვილებითურთ დოლაბერიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა რომ კვირას გიორგობისთვის ორში ავლაბარში პეტრე პავლეს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი იქვე სასაფლაოზედ დაუვიწყარი შვილის 6 გიმნაზიის მოწაფე

ქეთუშა ქეთო

სულის მოსახსენებლად

2637—2—2

სასადილო „ტაშირი“ სასადილო

(შესხმა—ხოტბა)

„ეკონომია“ – სასადილოსა
დღეს დაიფუძნა ძველი ტაშირი
ამირ იმერთა ევროპის სუფრამ
აქ ერთმანეთში შეჰკრა კავშირი.

ტაშის, ზურმის სასადილოა
ახლად გახსნილი ჩვენი „ტაშირი“
წრის და წოდების ყველა ბელადთა
აქ იმართება ლხენობა ხშირი.

პუშკინისეულ ბაღის პირდაპირ
ღამით და დღისით ბრწყინავს „ტაშირი“
და რა ნება აქვს ყველა ქართველსა
ამ ძველ „ტაშირში“ „დასწვას ნახშირი“

როგორც მუდმივი მიმდევარული
გირჩევთ დაჰკრათ ძველებურ „ტაშირს“
და გეფიცებით იგივს დაანებებთ
სხვა რესტორანთან ყოფნას და კავშირს.

212—4—4

სტუმარი

ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს, რომ კლუბის წევრთა საგანგებო კრებამ 5 ღვინობისთვეს დანიშნა საშვალო და უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიები კლუბის წევრთა შვილებისათვის.

განცხადებები სტიპენდიების მიღების შესახებ სათანადო მოწმობებით მიიღება კლუბის კანტორაში 7 გიორგობისთვის.

227 2—2

ანონსი.

თბილისის არტისტიული თეატრი.

ოთხშაბათს, გიორგობ. 12-ს 1919 წ: საქ. ცენტ. კოოპ. კავშირის დრამატიულ სტუდიის წარმოდგენა

1. ჰანელე

ჰაუპტმანისა.

2. რომანტიკოსნი

ედ. როსტანისა.

რეჟისორი მ. ქორელი

შემდეგ· ავგაროზი

2647 1—1

1 ხარისხ. კაფე-პარიზი 1 ხარისხ.

დამფუძნ. კრემის ქ. (ყოფ. სასახლის ქ.) ქართულ კლუბის ქვეშ.

ყოველ დღე: საუზმე, სადილები, ვახშმები·

სურსათი უძვირეს ღირსებისაა. კეთება მხოლოდ კარაქზე.

სადილები პურით 2 თავი 15 მან.
„ „ 3 „ 20 „

ყოველ დღე მზადდება აზიზი საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული. საგანგებოდ გამოწვეულია იმერეთიდან ცნობილი მზარეული. მოწყობილია ცალკე კაბინეტები წვეულებისათვის

პროცენტები მსახურთა სასარგებლოდ არა ხდება სტუმრებს.

რესტორანი ღამის 2 საათამდეა ღია.

პატივისცემით ვარ. გვათუა.

სახელმწიფო ბიბლიოთეკა

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს, 2 გიორგობისთვეს

„შრიის ქალი"

სამშაბათს, „აიდა", ოთხშაბათს,—„დარდი".

ქართული კლუბი

კვირას, 2 გიორგობისთვეს 1919 წელს

ქართულ დრამატიულ დასის მიერ

ქ. ქ. ტასო აბაშიძის, ნ. დავითაშვილის, ბ. ბ. ვ. გუნიასი, ვ. გამყრელიძის, დ. ჩარკვიანის და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა დ. ერისთავისა

სამშობლო

ადგილების ფასი 8 მან. 10 მანეთამდე.

ორშაბათს, 3 გიორგობისთვეს—სინემატოგრაფი; სამშაბათს, 4 გიორგობისთვეს—ქართული წარმოდგენა; ოთხშაბათს, 5 გიორგობისთვეს რუსული დრამა „ტარტო". დაწვრილებით შემდეგ.

227 2—2

უკანასკნელი ცნობები

ბოლშევიკურ ცნობებით ბოლშევიკებმა ნოვოხოპერის სანახეში დასტოვეს.

ბოლშევიკური ცნობით ინგლისელები ამირბარ კოლჩაკს აღარ ეხმარებიან.

ბუდაპეშტში კოალიციური მთავრობა შესდგა.

გერმანეთის ბიუჯეტის წინააღმდეგ ხმა მისცეს დამოუკიდებლებმა და ძ მემარჯვენეებმა.

გერმანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მოითხოვს რუსეთიდან ჩამოშორებულ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას.

გერმანეთი რუსეთის ბლოკადის წინააღმდეგია.

დეზერტირები

დეზერტირობის საკითხი დღეს მეტად მწვავედ სდგას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ვერც ერთი მობილიზაცია წესიერად ვერ ჩატარდა: ვერც სამხედრო უწყებამ და ვერც ადმინისტრატიულმა აპარატმა ვერ გამოიჩინეს საკმაო ენერგია, რომ ცხოვრებაში გაეტარებიათ დამფუძნებელი კრების დეკრეტი ახალგაზრდათა ჯარში გაწვევის შესახებ.

ოფიციალური ცნობებით სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაწვეულთა 50 პროც. არ გამოცხადებულა და იმათაგანაც, ვინც უკვე გამოცხადდა ძალიან საგრძნობელი ნაწილი დეზერტირებათ გახდარან.. ეს გარემოება ძალიან დიდი ყურადღების ღირსია!

თუ ხალხი არ ცხადდება მოვალეობის ასასრულებლად, ჩანს იმდენათ მოდუნებული ყოფილა ჩვენი ადმინისტრატიული აპარატი, რომ არ ძალუძს იძულებით მოიყვანოს იგი.

ხოლო თუ სამსახურიდან გარბიან, აშკარაა, რომ სამხედრო უწყებას ვერ დაუმყარებია ისეთი დისციპლინა, რომელიც თვით შეკრავდეს ჯარის-კაცობას სამხედრო სამსახურში... მდგომარეობა ორივე მხრით უღრესად სამწუხაროა. ახალგაზრდობა მოვალეა თავის სამშობლოს წინაშე მოიხადოს ის ვალი, რომელიც მას აწევს. და ვინც ურჩობს თავის სამშობლოს წინაშე, მის მიმართ არავითარ ლმობიერებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

სამწუხაროთ, მთავრობამ დღემდის ვერ გამოიყენა ის კანონი, რომელიც დიდი ხანია, რაც მიღებულია და რომლის ძალით, უკ. თუ გაწვეული ჯარში არ გამოცხადდა სასტიკათ უნდა იქნეს დასჯილი.

ჯერ ჯერობით, არამც თუ არავინ არ დასჯილა, არამედ დეზერტირთა უმეტესობა თავისუფლად დასეირნობს და ძალიან ბევრს თავი შეფარებული აქვთ მთავრობის, თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებშიც.

დეზერტირობა მეტად საშიშ მდგომარეობას უმზადებს რესპუბლიკას და ბოლშევიკების უკანასკნელმა მოძრაობამაც გვაჩვენა, რომ ამ გამოსვლებში მონაწილეობის მიმღებთა უმთავრესი კონტინგენტი სწორედ ამ დეზერტირებისაგან შესდგებოდა..

ამ ჟამად გაზეთებში გამოქვეყნებულია მთავრობის ბრძანება, რომ დეზერტირების წინააღმდეგ მიღებულ იქნეს სასტიკი ზომები...

ჩვენ სრული კმაყოფილებით უხვდებით ამ ბრძანებას და მოუწოდებთ ყველას, რომ საზოგადოების ყველა წრეებმა მხარი დაუჭირონ ჩვენს ადმინისტრაციას ამ ბრძანების სისრულეში მოყვანად.

სოციალ-დემოკრატიული ტრაბახის გამო

ჩვენი სოციალ-დემოკრატია შეეჩვია თავის [illegible] დარწმუნდა და ქვეყანაც დაარწმუნა, რომ იგი ყველაზე ბრძენი და გონიერია, რომ პოლიტიკური გამჭრიახობა და მიხვედრილობა სანიმუშო გამოაჩნდა. ყველას სერიოზულად არწმუნებს, რომ იგი არა, საქართველო ვერც დამოუკიდებლობას ეღირსებოდა, და თუ ეღირსებოდა, მეორე დღეს დაჰკარგავდა, სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ვერ დააწყობდა. მთელს რუსეთის იმპერიაში საქართველო ოაზისია და ამ ოაზისის შემქნელი და მცველი ქართველი სოციალ-დემოკრატიაა. თავის ამ საარაკო თვისებაში დარწმუნებულია ყოველი სოციალ-დემოკრატი [illegible]. თავი რომ გავანებოთ ფინლანდიას, რომელმაც პეტროგრადის სიახლოვის უსაშინელესი შედეგები აიტანა და თავისი საქმე მართლაც გონიერად წაიყვანა, თავი რომ გავანებოთ პოლონეთს და დავუბრუნდეთ ამიერ-კავკასიას და საქართველო სომხეთ აზერბაიჯანს შევადაროთ, დავინახავთ, რომ საქმიანობა და პოლიტიკური პრაქტიციზმი მეზობლებში უფრო დიდია ვიდრე ჩვენში. (უმთავრესი მონაპოვარი, რომლის ფარგლებში გაიშალა შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ეს თილისმა თვისებები,—საქართველოს დამოუკიდებლობა მოხდა მექანიკურად და სოციალ-დემოკრატიამ იგი მიიღო როგორც იძულება, ჩასთვალა თავის მიღწევისა და მიზნების დამარცხებად, ამ თემაზე, როგორც ყველას ახსოვს, ბევრი იოქროპირა ბ. ნმა ირაკლი წერეთელმა, ამხანაგთა დაუცხრომელი ტაშის ატმოსფერაში. ეს უდიდესი გამარჯვება ეროვნული საქმისა და მომავლის, მართლაც სასტიკი დამარცხება იყო სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკისა და მისი ცენტრალისტური იდეოლოგიის. ამ საკითხში მან საარაკო სიბეცე, ჭკუის სიკოჭლე და პოლიტიკური ბარბაროსობა დაგვანახა. ამგვარად, საქართველო დამოუკიდებლობას ეღირსა არა სოციალ-დემოკრატიის წყალობით, არამედ მისი პოლიტიკური კონცეპციის და მოქმედების წინააღმდეგ. დამოუკიდებლობის სფეროში ჩვენში სოციალ-დემოკრატიის შეხედულობას და პოზიციას იზიარებდნენ დაშნაკელები, რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგაც; დაშნაკელებიც პრინციპიულად წინააღმდეგნი იყვნენ რუსეთისაგან ჩამოშორების. ამგვარად, თავის უარყოფით მოქცევაში ჩვენი ეროვნული ალორძინების ძირითად პრობლემისადმი, ქარ. სოც.-დემოკრატია უნიკუმობას, პრიორიტეტს ვერ დაიჩემს, სომხის დაშნაკი ამაში შემოედავება. ამ მხრივ, აზერბაიჯანი, მუსავატისტების მეთაურობით, შეგნებულად მიისწრაფოდა რუსეთისაგან ჩამოშორებისაკენ.

როგორი იყო თითეულ ამიერ-კავკასიის ახლად შექმნილ რესპუბლიკებში მმართველი პარტიების მოღვაწეობა? ჯერ ისა ვსთქვათ, თუ რა დიდი განსხვავება არსებობდა ობიექტიურად მათ შორის სახელმწიფოს ასაგებ მასალის მხრივ. თბილისს საქართველოს, როგორც ამიერ კავკასიის პოლიტიკურს, კულტურულსა და სამხედრო-ცენტრს, დარჩა დაწყობილად ყველა საჭირო ცენტრალური ორგანო. სახელმწიფო აპარატი მომართული იყო. საჭიროებოდა ჩვენს ცხოვრებასთან შეფარდება, გაეროვნულება. მასვე დარჩა აუარებელი მასალა და სიძლიერე, სჭიროდა მხოლოდ მოვლა პატრონობა. აზერბაიჯანი და სომხეთი ამ მხრივ გაცილებით უფრო ცუდ მდგომარეობაში იყვნენ. არც სახელმწიფო აპარატების ქარგა ჰქონიათ და არც ამდენი სამხედრო საწყობები და სიმდიდრე დარჩენიათ.

ისტორიულ — სახელმწიფოებრივი ტრადიციის მხრივ, ამ სამ ქვეყანას შორის, მხოლოდ საქართველო იყო ძლიერი და მდიდარი სახელმწიფოებრივ შემოქმედების პოტენციით, მხოლოდ საქართველომ მიაღწია, როგორც სახელმწიფომ მეცხრამეტე საუკუნის ზღურბლამდე. აზერბაიჯანს ისტორიულად არა ჰქონია სახელმწიფოებრივი ცხოვრება, სომხეთმა იგი დაჰკარგა მეშვიდე საუკუნეში და უკანასკნელი გადარჩენილი ნაფოტი მისი სამეფოსისა ჩაიძირა მე XII-ე საუკუნეში. ამ ისტორიულს, ტრადიციულ სახელმწიფოებრივ გამოცდილების დიდს უპირატესობაში ყოველ შემთხვევაში ეს ჩვენი სოციალ-დემოკრატია, არაფერ შუაშია, ეს მემკვიდრეობით გამოჰყვა საქართველოს.

ერის სახმარი უნარი რომ ავიღოთ, აქ საქართველოს პირველობას ვერც ერთი მეზობელი ვერ წაართმევს. წარსული და უკანასკნელი ომები მოწმობენ საქართველოს დიდს უპირატესობას როგორც მახლობელ, ისე შორეულ მეზობლობაზედ. აზერბაიჯანს სამხედრო გაწრთვნა სულაც არ ჰქონია. ამ უპირატესობის ფაქტის შექმნაში სოც.-დემოკრატიას არავითარი წილი არ მიუძღვის, ესეც შედეგია ისტორიული ცხოვრების და ქართველის ბუნების. ხოლო ამ თვისებას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს შექმნა განმტკიცებისათვის არეულობის დ ომების დროს—ვინ უარყოფს. სოციალ-დემოკრატია კი შეგნებულად ებრძოდა წარსულის სახელმწიფოებრივ ტრადიციასაც და ჯარსა და მხედრულ ფსიხოლოგიას.

ინტელიგენციის მხრივაც შედარებით, საქართველო უფრო მომზადებული და მდიდარი, მაშასადამე, სახელმწიფოებრივ ამშენებლობისთვის უფრო შეიარაღებული იყო, ვიდრე აზერბაიჯანი ან სომხეთი. ამაშიაც არავითარი წილი არ უდევს სოციალ-დემოკრატიის.

თვით ხალხი, მასსა რომ ავიღოთ, მეტი კულტურა და შეთვისების მეტი სისწრაფე უფრო ქართველობას აქვს, ვიდრე აზერბაიჯანისა, ან სომხის ხალხს. ამას მოწმობს ყოველი მიუდგომელი უცხოელი მოგზაური, თუ მკვლევარი. ამაშიც არავითარი წილი არ უდევს სოც.-დემოკრატიას.

ამგვარად, საქართველოს მმართველი პარტია, მეზობლებთან შედარებით, დიდის უპირატესობით წარსდგა სახელმწიფოს აშენების საქმეში. სახელმწიფო აპარატი, ქონება, ისტორიული ტრადიცია, დიდი სამხედრო გამოცდილება და პოტენცია, ინტელიგენცია და თვით მასსა—სახელმწიფოს შემქმნელად ყველა ეს უპირატესი ელემენტი—საქართველოს მმართველ პარტიას დიდ უპირატესობას ანიჭებდა, აზერბაიჯანის და სომხეთის მმართველ პარტიებთან შედარებით. არც ერთ ამ უპირატესობაში არავითარი წილი სოციალ დემოკრატიას არ უდევს.

დღეს კი არსებობს ფაქტიურად როგორც საქართველოს, ისე სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკა. დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი ერთნაირია ყველასათვის. უპირატესობა ჯერ არავის აქვს. ყოველშემთხვევაში, ჩვენი სოც.-დემოკრატიის საგარეო პოლიტიკა ისეთი ღირსებისა არ იყო, რომ ამ პოლიტიკის წყალობით რაიმე უპირატესობა მოგვეპოვა. შინაური წესიერება საქართველოში უკეთ ვერ არის განმტკიცებული, ვიდრე სომხეთში ან აზერბაიჯანში. ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა, თავდასხმა და მატარებლების გადაგდება ჩვენში უფრო ხშირი თუ არა, ნაკლები არ არის. აზერბაიჯანმა—ბაქომ—დიდი შინაური ხოცვა-ჟლეტა გაიარა, სძლია ამ უბედურებას და დღეს წესიერება დაამყარა. პოლიტიკური აპარატი, პარლამენტური რეჟიმი, მთავრობის პასუხისმგებლობა—იქ უფრო მოქნილია, ვიდრე ჩვენში; საერთო ყაირათობა იქ უფრო დიდია, ვიდრე ჩვენში, ყვირილი კი უფრო ნაკლები. შინაურ მართვა-გამგებლობის მხრივ მათ საქმე არ წაუხდენიათ. ტერიტორიულად შემატების გზას დაადგა; ზანგეზური და ნახიჩევანი, სომხეთა საძუძიანი პრეტენზიის საგანი, დღეს დღეობით აზერბაიჯანის გავლენას მიეცა. აზერბაიჯანის მმართველმა პარტიამ ოფიციალურად წილი დაიდვა ამ მაზრებში.

მართალია, აზერბაიჯანში თვითმართველობების საქმე მოგვარებული არ არის—ეს გარეგანი ნიშანი ჩვენი უპირატესობის—მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, დღევანდელი მომენტის მთავარ პრობლემასთან იმას, სამი თვით ადრე მოხდება თუ სამი თვით უფრო გვიან წვრილი ერობების არჩევნები. ასეა სომხეთიც, რომელმაც დამოუკიდებლობამდე საშინელი განადგურება და აწიოკება გამოიარა, და რომელსაც ამ მხრივ ათასჯერ უარეს პირობებში მოუხდა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, ვიდრე აზერბეიჯანლებს, ან ქართველებს.—იქაც ეს დემოკრატიული რესპუბლიკაა, იქაც ოთხფორმულით არჩეული დამფუძნებელი კრება კანონმდებლობს.—ტერიტორიულად, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა ჩვენს ხარჯზე აწყობს თავის საქმეს. ბორჩალოში იარაღით შემოიჭრა, ფაქტიურად დაიჭირა ერთი ნაწილი და ლორის მითვისებაში წინ არავითარი დაბრკოლება არ უდგას, თუ ქართველი ხალხის რისხვამ არ შეაყენა მთავრობის დამთმობი მარჯვენა.

ამგვარად თავი რომ გავანებოთ ტრადიციულ უპირატესობათა ჯამს, და მარტო დღეს მმართველი პარტიების შემოქმედებას და პოლიტიკას გაუწიოთ ანგარიში, დავინახავთ რომ ქართველ სოც.-დემოკრატიაზე მეტი საქმის უნარი, გონება-მოქნილობა და შემოქმედი თანდათანობა გამოიჩინეს აზერბაიჯანში მუსავატისტებმა და სომხეთში დაშნაკელებმა. ამ მხრივ, სატრაბახო უფრო მათ აქვთ, ვიდრე ჩვენს სოციალ-დემოკრატიას, თუ ტრაბახი, საერთოდ დაშვენდება პასუხისმგებელ მმართველ პარტიას. მარტო ერთი ლორი რად ღირს, ჩვენი სოც.-დემოკრატიულ მთავრობის მართველობითი ნიჭის სიკოტრის საჩვენებლად. ვერავითარი ტრაბახით ამ ლაქას ვერ წარიხოცთ.

პრესსა

აჯანყებული მინისტრი.

მენშევიკები ხშირად ამბობენ: ისტორიამ დაგვაკისრა მძიმე მოვალეობა, ბურჟუაზიულ სახელმწიფო ვაშენებთო.

როგორ აშენებდენ დღემდე მენშევიკები ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, ამას ყველა ხედავს; მაგრამ როგორ ჰფიქრობენ მომავალში ამ შენებას, ამის გეგმას გვაძლევს „ერთობის" ფურცლებზე რესპუბლიკის მთავრობის წევრი, ფინანსთა მინისტრის ამხანაგი „პროფესორად" წოდებული ს. ავალიანი.

ეს ვაჟბატონი ორიოდე თვის წინეთ გამოიქცა ბოლშევიკურ რუსეთიდან, როდესაც იქ მოხალისეთა ლაშქრის საომარი მოქმედება გაცხოველდა და ბოლშევიკურ საბჭოებში მუშაობა ცოტათი საშიში გახდა.

ბ-ნი „პროფესორი", როგორც პრესაში იყო აღნიშნული, საქართველოსკენ რამოდენიმე მილიონ მანეთით გამომგზავრებულა, მაგრამ შავ ზღვაზე უცხოელებს დაუჭერიათ და ერთხანს სტამბოლში ჰყვდიათ დაპატიმრებული ბოლშევიკების აგენტებთან ერთად.

როგორც კი დაბრუნდა საქართველოში, „პროფესორი", დაუყონებლივ მთავრობაში იქნა მიწვეული საქართველოს ფინანსების გამოსასწორებლად.

ფინანსიური კრიზისის დასაცხრომად პატივცემულმა „პროფესორმა" რამოდენიმე დიდი წერილი მოათავსა მენშევიკების გაზეთებში.

ერთი ასეთი საყურადღებო წერილი მას მოთავსებული აქვს „ერთობის" უკანასკნელ ნომერში „შინაური მტერის" სათაურით.

ვინ არის „შინაური მტერი".

მკვლევარის აზრით, „ჩვენი ბურჟუაზია არის მტერი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა". „დასამტკიცებელი საბუთი"? ჰკითხულობს პროფესორი. „რამდენიც გნებავთ. ჩვენი ქვეყანა დიდ ეკონომიურ გასაჭირს განიცდის. მშიერი, ტიტველი მშრომელი ხალხი ძლივს აღწევს თავს ცხოვრების ქაპანწყვეტს. ჩვენი შინაური მტრები ცდილობენ, ლახვარი დასცენ უფრო მძიმედ დაავადმყოფებულ ნაწილებს. გამოდიან თავის დარბაზებიდან და ნელ-ნელა ძირს უთხრიან ჩვენს ფულებს".

აი, ხომ ჰხედავთ, რა ოინებს ჩადიან ეს შინაური მტრები! ბოლშევიკურ რუსეთიდან 6 სამშობლოს ფინანსების სახსნელად მოსული „პროფესორი" თავის ენერგიას, ჯანსა და ღონეს არ ზოგავს, დღე და ღამე განუწყვეტლად ჰბეჭდავს ფულებს საქართველოს დემოკრატიის საკეთილდღეოთ და ამავე დროს, ეს შინაური მტრები—ბურჟუაზია, გამოდიან თავის დარბაზებიდან და „ნელ ნელა", როგორც ცბიერი მელა, „ძირს უთხრიან ჩვენს ფულებს".

რომ ეს ასე არ ხდებოდეს, ბოლშევიკური ფინანსისტი იმდენს ფულს დაჰბეჭდავდა თბილისის სტამბებში, „რომ არამც თუ საქართველოს დემოკრატიას, არამედ ყველა ქვეყნის დემოკრატიას ყელამდე ფულით აავსებდა.

გაიძვერა ბურჟუაზია, შეხეთ, როგორ „ნელა-ნელა უთხრიან ძირს" მის დაბეჭდილ ფულებს!!

გამჭრიახ „პროფესორს" რესპუბლიკის მტრების ზრახვანი საუცხოვოდ შეუსწავლია. ისე დაწვრილებით ამ შინაური მტრის ბუნება, თუ როგორ ფარულად და მალულად უპირებს ის ჩვენს რესპუბლიკას დაქცევას და დანგრევას. მათ სურთ „ხალხი აჯანყონ", მაგრამ ისინი მოქმედებენ „მალულად, ჩუმად, ვინაიდან პირდაპირ ბრძოლა მათ არ შეუძლიან". როცა შინაური მტრების ბნელი საქციელი ასე გამოაშკარავდება, ისინი უკვე საშიში აღარ „არიან. და მართლაც" პროფესორის სიტყვით, „საქართველოს დემოკრატიამ მიწის მფლობელნი, თავად-აზნაურობა შებოჭა და ძალის იარაღი ჩამოართვა. ბურჟუაზია შებოჭილი არის".

თუ ბურჟუაზია შებოჭილია, როგორ უნდა მოვექცეთ მას? „პროფესორის" აზრით, საჭიროა მას პერანგი გავხადოთ. ბურჟუაზია ასე შეუბოჭავს ჩვენს მხნელ პროფესორს, მაგრამ სამშობლოს ერთგული გუშაგის გული მაინც ვერ ისვენებს. „შინაური მტერი ძლიერია". კიდევ ძლიერი ყოფილა, თურმე, როგორც ცხრა თავიანი დევი. მაშ რა უნდა ვქნათ?

„პროფესორი" გვირჩევს: „დარაჯი არის საჭირო. დარაჯი მამაცი, დარაჯი ძლევა-მოსილი, რომელსაც არ შეეშინდება აილოს ფარხმალი, და დასცეს მტერს". სად უნდა მოვნახოთ ასეთი ძლევა მოსილი, უშიშარი დარაჯი, რომელიც აიღებს ფარ-ხმალს და შიგ შუა გულში ჩასცემს გაიძვერა მტერს?

ჩვენ გვგონია, რომ ასეთი დარაჯი ჩვენთვის ღმერთს გაუჩენია თვით ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ავალიანი და ფიქრი არ უნდა გვქონდეს.

მას „არ შეეშინდება" და მაშ დაჰკა შინაურ" მტრებს ბურჟუაზიას!!!

ასეთია ჩვენი ფინანსებისა და ეკონომიური ცხოვრების გაჯანსაღების პროგრამა. ამას გვეუბნება მთავრობის წევრი და ეს მოთავსებულია მმართველი პარტიის ორგანოში!!

აი, როგორ უნდა ჩვენს მენშევიკებს ბურჟუაზიული სახელმწიფოს აშენება...

ერთი რამ გვინდა ვკითხოთ პატივცემულ ფინანსისტს და „პროფესორს". როგორი ნაყოფი გამოიღო მისმა მოღვაწეობამ ბოლშევიკურ რუსეთში? იქ ხომ ბურჟუაზიას არამც თუ პერანგი, არამედ ტყავიც გახადეს, არამც თუ შებოჭეს, არამედ დაახრჩეს კიდეც. ნეტავ ყველა რუსეთის მოქალაქეს თუ შეხვდა ხუთ ხუთი მილიონი ასეთი ოპერაციის შემდგომ?

დამფუძნებელი კრება

31 დვინობისთვის სხდომა. თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. მდივანი კითხულობს დღიურ წესრიგს.

ნოე რამიშვილის მოხსენება საშინაო მდგომარეობის შესახებ.

ნ. რამიშვილი. მოქალაქენო! ისტორია ასწორ-დასწორის ჩვენსა და ჩვენი მტრის მოქმედებას. დღეს კი, იძულებული ვართ აღვნიშნოთ მხოლოდ ის სამწუხარო ფაქტები, რომელსაც ამ დღეებში ადგილი ჰქონდათ სხვადასხვა ანარქიული გამოსვლების სახით, ჩვენს სახელმწიფოში.

ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს იმ ძალებთან, რომელთაც საქართველოს რესპუბლიკას დამოუკიდებლობა ვერ მოუნელებიათ. ამ ტრიბუნიდან საქვეყნოდ უნდა განვაცხადო, რომ ამ შეამბოხეებს არაფერი საერთო არ აქვთ რესპუბლიკის მკვიდრ მოქალაქეებთან, რომ ეს დამრღვევი ელემენტები არ აღმოცენებულან ჩვენი რესპუბლიკის შინაურ სოციალ-პოლიტიკურ ნიადაგზე. ესენი არიან უცხო ძალები, ჩვენი სახელმწიფოს დაუძინებელი მტრები. მათ ჰსურთ სხვისი სისხლით მოიხვეჭონ გამარჯვება.

ერთის მხრით რეაქცია, მოხალისეთა ლაშქრობის სახით, და მეორე მხრით წითელი ხიშტებით შეჭურვილი ანარქია,—კომუნისტების სახით,—აი ის ორი სხვადასხვა ძალაა ჩვენს საწინააღმდეგოთ ბუნებრივად შეთანხმებულნი და ხელი ხელ ჩაკიდებულნი.

ეს ორი ძალა,—ებრძვის დღეს ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩვენს თავისუფლებას.

საქართველოს ერმა, ჩვენი რესპუბლიკის სახალხოვანმა ლაშქარმა რამოდენიმეჯერ სამარცხვინოდ დაამარცხა ეს მტრები, რაც გარეშე მტრებთან ომის დროს დამტკიცდა, და როდესაც მოწინააღმდეგები დარწმუნდენ, რომ გარედან ვერაფერს გახდებოდენ,—დღეს თვით რესპუბლიკის შიგნით გადმოიტანეს ფრონტი. გადაჭრით ვაცხადებ, რომ ასეთ შავს მიზნებს ისახავენ ჩვენში მოხალისენი, ისინი ავრცელებენ ხმებს, თითქოს საქართველოში ბოლშევიკური მთავრობა იყოს; ისინი არწმუნებენ ევროპას თითქოს ჩვენში წესრიგი და სამართალი არ არსებობდეს,—რომ როგორმე ამ გზით ნდობა გაუტეხონ ჩვენს რესპუბლიკას სხვა ქვეყნის თვალში. ამ გზით ჰსურთ მოხალისეებს ან სხვა უცხო ძალით, ან თვითონ ჩაერიონ ჩვენს შინაურ საქმეებში.

კომუნისტებიც ებრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობას; დღეს ისინი მარცხდებიან ევროპაში და რუსეთში და თავიანთი მოქმედების ბაზა აზიაში უნდა გადმოიტანონ. თურქესტანის და აზიის ქვეყნები უნდათ გახადონ თავის სამოქმედო ასპარეზად. მათი დამარცხება ევროპაში, და მათი გამარჯვების საფუძვლიანი იმედი აზიაში იმით აიხსნება, ევროპის განათლებული ხალხებისათვის ბოლშევიზმი მიუღებელია და ის ყოველთვის ველურ ქვეყნებში პოვებენ ნიადაგს.

(ტაში ეროვნ. დემოკრატების სკამებიდან). მე მიკვირს ნუ თუ ეროვნულ-დემოკრატებისათვის ეს სადაო იყო.

ნიკო ნიკოლაძე: ჩვენთვის არ იყო სადაო, მაგრამ თქვენთვის კი იყო სადაო.

სპ. კედია. (ადგილიდან) ასე არ ამბობდით დღემდე!

ნ. რამიშვილი; ასეთია ბოლშევიკების სტრატეგიული მოსაზრებანი. მათ ჰსურთ არა იდეებით, არამედ წითელი ხიშტებით ააფრიალონ საბჭოთა რუსეთის წითელი დროშა საქართველოში.

გ. გვაზავა: (ადგილიდან). თქვენი დროშა რა ფერისაა? (ხმაურობა).

ნ. რამიშვილი. ჩვენი დროშა სახელმწიფო დროშაა.

გ. გვაზავა—მაშ სასახლეზე რათ არის წითელი დროშა? (ხმაურობა).

ნ. რამიშვილი. აქ შემოჭრილმა უცხოელთა აგენტებმა საქართველოში გამოძებნა საზოგადოების ყველა ნაძირალები, ქურდ-ბაცაცები, ყაჩაღები, შეიარაღა უცხო ელემენტები, მაგალითად სამტრედიის რაიონში ჩინელები,—და ყველა ესენი დარაზმა ჩვენს წინააღმდეგ. ცნობილი ყაჩაღი, ინგლისელი ექიმის მკვლელი პაიჭაძე მათი ტერორისტია, „მარია"-ს გემის გამცარცველი 22 მიკობრი მეამბოხეთა მეთაურები იყვნენ.

ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ ეს 22 ყაჩაღი გადმოვიდნენ ზღვით გურიის სოფლებში და ბოლშევიკების მეთაურებს ჰკითხულობდნენ.

თიანეთში შეკრებილი ლაგოდეხის აჯანყების მეთაური ცნობილი ყაჩაღი ქოროღლი და ყველა დანარჩენი დეზერტირები რუსი მეზღვაურები და სხვა შავი ძალები აშკარად მოწმობენ თუ რა ხასიათის ორგანიზაციასთან გვაქვს ჩვენ საქმე.

განსაკუთრებით დეზერტირები შეიქმნენ დაუშრეტელ წყაროდ ანარქიისა.

დღეს-დღეობით ეს ანარქია ჩვენ ჩავაქრეთ. ხალხი, საქართველოს დემოკრატია ამ ამბოხების დროს ჩვენთან იყო და ჩვენც ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ რესპუბლიკის მთავრობის მოქმედებას მთელი საქართველო თანაუგრძნობს.

ავანტიურისტებსა და ანარქისტებს ხალხი ვერ გაჰყვებოდა, და ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ჩვენმა დემოკრატიამ კარგად იცოდა, რომ თუ ის არეულობაში ჩაერეოდა ამით ის შეაფერხებდა აგრარულ რეფორმის გატარებას.

სპ. კედია (ადგილიდან) თქვენ მტერს, თქვენ რომ ის გაატარეთ!

ვისაც სურს დაესწროს ზეიმს პირველ ქართულ ლატარიის გათამაშებისას უნდა შეიძინოს

სახელმწიფო თეატრის კასაში

ლატარიის ბილეთები

1, 2 და 3 რიგის სკამისათვის—4 ბილეთ; 4, 5, 6, 7 და 8 რიგის სკამებისათვის და ამფითეატრის ადგილისათვის—3 ბილ.; ლოჟა ბენუარი—24 ბილ.; ბალკონის მეორე იარუსის სკამი—2 ბილ.; ბალკონის მესამე იარუსის სკამი—1 ბილ.; ქანდარა—3 კაპიკი; ლოჟა 1 იარუსისა—9 ბილეთი; ლოჟა 2 იარუსისა—6 ბილ.; ლოჟა 3 იარუსისა—3 ბილ.; ქანდარის ბალკონი—1 ბილ,

ხელოვნურად მორთულ სცენაზე, საგანგებოდ ამართულ მაგიდაზე, იდგმება სამი ურნა: სერიის, ბილეთების და მოგებათა. ურნიდან ამოიღებენ ბილეთებს ჟურნალ „ნაკადული"-ს რედაქციიდან წარმოგზავნილი ბავშვები 5—7 წლამდე; მოგების ურნიდან კი ხელებ-შიშველა გოგონები. სცენაზე იქნება მაგიდები წარმომადგენელთათვის: დამფუძნებელ კრებისა, მის პრეზიდიუმისა, მთავრობისა, პრესისა, დეპეშათა სააგენტოსი, ბანკებისა, საზოგადო დაწესებულებათა, ლატარიის საბჭოსა და გამგეობისათვის. პირველად ამოღებულ ბილეთების ნომრებს გამოაცხადებენ მთავრობის წარმომადგენელნი, ხოლო შემდეგ ამოღებულ ბილეთების ნომრებს ამცნობს საზოგადოების კრების თავმჯდომარე. მდივნათ მოპატიჟებულთა რიცხვი იქნება არა ნაკლებ სამისა.

230 1—1

ნ. რამიშვილი. ესაა მიზეზი ხალხის სიმტკიცისა. ასეთი შეგნება რომ ხალხს არ ჰქონოდა, იგი იოლად შეითვისებდა ბოლშევიკურ ლოზუნგებს.

საქართველოს რესპუბლიკას მტერი მარჯვნიდანაც ჰყავს და მარცხნიდანაც. ისინი დღესაც განაგრძობენ მუშაობას, და საჭიროა სასტიკი ზომები მომავალი ღალატის ძირიანად აღსაკვეთავად.

ჩვენში არიან მრავალი უცხო, მოღალატე და შეურიგებელი ელემენტები, რომელთაც ადგილობრივი მფარველი ჰყავთ. უნდა განიდევნონ ისინი რესპუბლიკის საზღვრებიდან (ტაში ერ. დემ. ფრაქციიდან).

და თუ ჩვენთან იქნება არა მარტო მთავრობა, არამედ დამფუძნებელი კრებაც, ჩვენ მათ დავამარცხებთ. (ტაში).

გრ. ვეშაპელი აღნიშნავს, რომ ბოლშევიკურ გამოსვლებს არ ჰქონდა სერიოზული ხასიათი. „ბორბას" სიტყვით ის ოპერეტული იყო. ჩვენი მთავრობას დღევანდელი ზომები ამ საქმეში მე მაკმაყოფილებს, მაგრამ არ შემიძლია მისი წარსულიდან ზოგი ერთი დეფექტები არ აღვნიშნო, რამაც ხელი შეუწყო სხვათაშორის უკანასკნელ ხანების აჯანყებას. მაგალითად მე მახსოვს, რომ ჩრდილოეთიდან გადმოხვეწილ ბოლშევიკებს, საქართველოს მთავრობამ თავშესაფარი მოუნახა, ტრადიციული მასპინძლობა გაუწია. მაშინ ჩვენ შიშს გამოვთქვამდით, ვგრძნობდით, რომ ემიგრანტები ჩვენს სტუმართ მოყვარეობას ბოროტად გამოიყენებდნენ, მაგრამ მთავრობამ მაინც თავისი გაიტანა და უცხო ძალები დღემდე აქ დასტოვა.

აქ მინისტრმა თავის განცხადებაში მეტი ყურადღება მიაქცია აგრარულ მოტივს. აგრარული საკითხი, რომ ისეთი მწვავე იყოს ჩვენში, როგორც ეს სოციალისტებს ჰგონიათ, მაშინ გლეხობა კომუნისტებს გაჰყვებოდა, რადგან ისინი მეტს ჰპირდებიან და მიწა ჩამორთმეული მემამულენიც ამ უკმაყოფილო ელემენტს შეუერთდებოდა,—იქნებ მღვრიე წყალში თევზი დაეჭიროთ. მაგრამ ნამდვილათ ეს ასე არ მოხდა და არ მოხდა იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ეროვნულ მოტივს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა; ქართველმა ერმა იცოდა, რომ აჯანყებას უცხოელები მეთაურობდნენ და რომ საქართველოში მოსალოდნელ ანარქიას უცხო ძალის ჩარევა მოჰყვებოდა შედეგად ჩვენს შინაურ საქმეებში. ქართველი ხალხი ძვირად აფასებს თავის დამოუკიდებლობას, მას განსაკუთრებით რუსეთის ეშინია და თუ ჩვენმა მინისტრმა ასე ადვილად ჩააქრო აჯანყება,—ეს უნდა აიხსნას უმთავრესად ხალხის ეროვნულ შეგნებით და არა აგრარულ მოტივით.

ჩვენს ხალხს უფრო მეტი ეროვნული შეგნება აქვს ვიდრე ჩვენს მთავრობას.

ეს, მოხდა დღეს, მაგრამ მომავალში ჩვენ მაინც არ ვართ დაზღვეული ასეთი „ოპერეტებიდან", რომელიც შეიძლება ტრაგედიადაც გადაგვექცეს. ხალხის ეროვნულ გრძნობისთვის ბევრს რასმე ნიშნავს ის თითქოს პატარა ფაქტი, რომ საქართველოში ჩეხოვებს უფრო მეტი დაფასება აქვთ ვიდრე ერეკლეს.

ბ. ჩხიკვიშვილი. ეს სიცრუეა. (ხმაურობა).

თავმჯდომარე. (ხმა მაღლა და გაანჩხლებით), გთხოვთ საკითხს დაუახლოვდეთ. ერეკლე მეფე აქ არაფერ შუაშია.

გ. გვაზავა. (თავმჯდომარეს). აცალეთ ორატორს ლაპარაკი.

თავმჯდომარე. (გვაზავას) გთხოვთ დაბრძანდეთ.

გ. გვაზავა. ასე ყვირილი არ შეიძლება. ამის შესახებ სიტყვა მომეცით.

გ. ვეშაპელი. ჩვენი საგარეო მდგომარეობის გაურკვევლობაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს და უკმაყოფილების ფსიქოლოგიას ჰქმნის ხალხში.

მთავრობას ძლიერ უყვარს „სასტიკი" ზომების შესახებ ლაპარაკი და კარგს კანონებსაც სწერს, მაგრამ ისინი სისრულეში არ მოჰყავს.

ლ. შენგელაია (ს.-რ.). დაწვრილებით ეხება საბჭოთა რუსეთის პოლიტიკას და აღნიშნავს მის შეცდომებს. კომუნისტურ მართვა-გამგეობის სისტემაში, ორატორის აზრით, დემოკრატიზმის ნასახი არაა; მაგრამ თუ ბოლშევიკების სოციალიზმი უდემოკრატიზმოდ მიდის, ჩვენებური მენშევიკების დემოკრატიზმი უსოციალიზმოდ დარჩა. აქაა რევოლუციის ტრაგედია. ჩვენს მთავრობას თუ ჰსურს მოწინააღმდეგის იდეიურად დამარცხება, მან უნდა ხელიდან გამოგლიჯოს ბოლშევიკებს მაქსიმალიზმი, და პრაქტიკულად გაატაროს იგი საქართველოში. ჩამოართვას მიწები მემამულეებს უფასოდ და უფასოდვე გადასცეს ხალხს.

ამ გზით შევქნით საქართველოში სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების ოაზის.

სპ. კედია (ადგილიდან). მოგვიტაცებენ.

ლ. შენგელაია. თუ ამ მიმართულებასა და ამ გზას აიღებს მთავრობა, მაშინ გამარჯვებული ჩვენ ვიქნებით.

გ. გვაზავას განცხადება

მე შენიშვნა მინდოდა თავმჯდომარის დროზე უნდა მოეცა სიტყვა. თავმჯდომარე ხშირად არღვევს დამფუძნებელი კრების წევრთა რეგლამენტს. მას უფლება არ აქვს ისეთი უდიერი ყვირილითა და მაღალი კილოთი მიჰმართოს ორატორს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ვეშაპელის სიტყვის დროს. დამფუძნებელი კრების წევრები ხალხის წარმომადგენელნი არიან და არა შემთხვევითი პირები. თავისი საქციელით თავმჯდომარე არღვევს რეგლამენტის 103 მუხლს.

თავმჯდომარე. ბატონებო! თუ მე ხმამაღლა ვლაპარაკობ, რა ვქნა, ბუნებას ასეთი ხმა მიუცია ჩემთვის. რაც შეეხება რეგლამენტს იქ, იმის შესახებაც არის ლაპარაკი, რომ დამფუძნებელ კრების წევრს, თავმჯდომარის მოქმედების გაკრიტიკება არ შეუძლია. მე მიზნად არ მქონია, რომ ვინმე ორატორს შეურაცხყოფა მივაყენო.

სპირიდონ კედიას სიტყვა

ბატონებო! ჩვენი მთავრობის მოქმედება ამბოხების ჩაქრობის საქმეში, უთუოდ მესაღებია და მოსაწონი. მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ყოველთვის ისე არ აზროვნებდა და ისე არ მოქმედობდა, როგორც დღეს. ჩვენ გვახსოვს და ქვეყანამაც იცის, რომ ჩვენი მართველი პარტია თავის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, საერთაშორისო რევოლუციაზე ამყარებდა, საერთაშორისო სოციალ-პოლიტიკურ კატასტროფის იმედებით ასაზრდოებდა.

დღეს კი სრულიად წინააღმდეგს ვხედავთ.

დღეს, მინისტრის განცხადების შემდეგ,—თუ კი ამ განცხადებას მივიღებთ როგორც მთელ მთავრობის განცხადებათ,—გამოირკვა, რომ დღეს უარყოფილია და დაგმობილი რევოლუციის პირველ დღიდანვე აღებულ პოლიტიკური გეზი, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის საზარალო და დამღუპველი იყო, და რომ წარსულის ამ შეცდომას, რომელმაც ნაწილობრივ დღევანდელ გამოსვლებსაც შეუწყო ხელი, ამიერიდან ადგილი არ ექნება.

ეს გზა ახალი და უჩვეულო გზაა ჩვენი მთავრობისათვის, თუმცა ერთსულოვნებასა და სიმტკიცეს მთავრობასა და მართველ წრეებს შორის არც დღეს ვხედავთ.

ყოველ-შემთხვევაში როგორი იყო დღევანდელი გამოსვლები, ვინ დავიჭირეთ მეამბოხეთა შორის და როგორ გავიმარჯვეთ? როგორც აქედან სთქვეს, ეს გამოსვლები მიემგზავსება პატარა „ოპერეტას" ეს იყო უმნიშვნელო ფორმისა და თვისები ამბოხება. და ჩვენც მხოლოდ ქურდ ბაცაცები დაგვიჭერია, და ყაჩაღები დაგვიტუსაღებია.

სულ სხვა იქნებოდა, რომ გამოსვლებს მასიური და მრისხანე ხასიათი ჰქონოდა და ჩვენს მთავრობას იგი დაემარცხებია და გამარჯვებაც დიდი და ბრწყინვალე დარჩენოდა.

ლატარიისათვის

ამბავს გეტყვით, ხალხო, ამბავს გასაკვირალს:
ლატარია უნდა გათამაშდეს კვირას.
სულ ერთი დღე დარჩა! კმარა რაც იძინეთ!
ბილეთები ჩქარა! ჩქარა შეიძინეთ!
თორემ თუ სხვა ვინმემ იქ მოგება ნახა—
მერე უნდა დაჯდეთ და დაალოთ ხახა.

—

და ვინც სწყალობს თეატრს, განათლების ტაძარს,
საქმეს იზამს კეთილს, ხალხის წასაბაძარს:
და ბილეთით ხელში, მტრების გასახელად—
სახელმწიფო თეატრს მიაშურებს ხელად.
ერთ ვისმეს ხომ უნდა ერგოს ბედის ღხენა
და ეს ერთიც—ვინ უწყის!—იქნებ იყო შენა!

—

მაშ ნუ დახვალ, ძმაო, აკრე განდაგანა.
ასი ათას მანეთს ეხუმრები განა!
ბაზხადუწუმ, ბიჭოს, ერთიც ვნახოთ რომა,
არ დაგჭირდეს ჯაფა, არ დაგჭირდეს შრომა,
და იხილო უცბად სამოთხისა კარი—
დაჯექი და მერე ქუდი ჰერსა ჰკარი!

მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

აჯანყების მოთავენი, მეამბოხეთა იდეური ხელმძღვანელები გაგვექცნენ და ხელთ შეგვრჩა რამოდენიმე დეზერტირი, ორიოდე ქურდი და მთელი გამოსვლა და მის წინააღმდეგ მიმართული ზომებიც უმნიშვნელო „ოპერეტას" დაემგზავსა.

მინისტრმა განაცხადა, რომ შეთქმულების ბუდე და გამოულეველი მასალა დეზერტირობაში არისო.

თუ ეს ასეა, ამაშიც ჩვენი შინაგან საქმეთა მინისტრია დამნაშავე, რადგანაც მან ვერ მიიღო სათანადო ზომები დეზერტირებისა და რესპუბლიკის ორგულ მოქალაქეთა მიმართ; მთავრობამ დღემდე ვერ გამოიყენა საგანგებო კანონი, რომელიც დეზერტირების წინააღმდეგ იყო მიმართული, სათანადო სიმკაცრითა და სისასტიკით.

რად არ სრულდება ჩვენში კანონები, რას უცდის, ან ვისი ერიდება მთავრობა?

ჩვენის აზრით, ასეთ მთავრობის ხელში ჩვენი მომავალი უზრუნველყოფილი ვერ იქნება.

დღევანდელი გამოსვლები მთავრობის მერყევი პოლიტიკის შედეგია, და თუ ამიერიდან ძირეულად არ შეიცვალა ეს მერყევი პოლიტიკა, თუ არ დამყარდა მტკიცე და ძლიერი სისტემა მართვა გამგეობის სფეროში, ასეთა პატარა ოპერეტა ტრაგედიათ გადაგვექცევა.

საჭიროა საშინაო პოლიტიკის კურსის შეცვლა და სწორი გზით ხალხის წარმართვა.

(დასასრული იქნება).

მთავრობის წრეებში

23 ღვინობისთვის სხდომა.

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ ნ რამიშვილი, მინისტრი ბ. კ. კანდელაკი, სახელმწიფო კონტროლიორი ბ. ფ. გოგიჩაიშვილი, მინისტრთა ამხანაგები ბ.ბ. ჭიჭინაძე, გედევანიშვილი, ცინცაძე, ავალიანი, ერაძე, სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი ბ. ანდრონიკაშვილი, გზათა დეპარტამენტის დირექტორი ბ.ბ. ჭიჭინაძე.

ტელეგრაფის ქსელის შესაკეთებლად

პროექტი დეკრეტისა შინაგან საქ. მინისტრის განკარგულებაში 357,000 კრედიტის გახსნის შესახებ სატელეგრაფო ქსელის გამბა შეკეთებისათვის, მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

კორესპონდენციებზე გადიდებულ ნიხრის შესახებ.

ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციის გადიდებული ნიხრი მიღებულ იქმნას და გადაეცეს დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას.

თბილისის თავშესაფარის შენობის განთავისუფლება.

განთავისუფლებულ იქმნას თბილისის თავშესაფარის შენობა, რომელიც გადაეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტს. თბილისის თავშესაფარი კი გადატანილ იქმნას ყოფილ სამხედრო საფერშლო სკოლის შენობაში. შენობის შესაკეთებლად გადაიდოს შინაგან საქ. მინისტრის განკარგულებაში 320,667 მან. 98 კ.

ფოსტა ტელეგრაფისათვის

აუცილებელ საჭიროდ იქნეს ცნობილი ფოსტა ტელეგრაფისათვის საჭირო მასალის შეძენა. ამისათვის საჭირო თანხა გამოეთხოვოს დამფუძნებელ კრებას.

—

პროექტი დეკრეტისა, სახაზინო რკინის გზების 1918 წ. დანახარჯის დასაფარავად 52,527,701 მან კრედიტის გახსნისა მიღებულ იქნას და გადაეცეს დასტურისათვის დამფუძნებელ კრებას.

—

ინჟ. წულუკიძის, ყიფიანის, ლორთქიფანიძისა და ციციშვილის შუამდგომლობა ტყვიბულის მაღაროების მათთვის იჯარით მიცემის შესახებ, გადაეცეს დასკვნისათვის გზათა და ფინანსთა მინისტრს.

25 ღვინობისთვის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა.

სახელმწიფო ენის უცოდინარობისათვის

თბილისის სასამართლო პალატის საგანგებო საქმეთა გამომძიებელი მ. ა. გრაევსკი და ამავე სასამართლოს პალატის ბრალმდებლის ამხანაგი ი. ს. კალვატი სახელმწიფო ენის უცოდინარობის გამო განთავისუფლებულ იქნან თანამდებობიდან სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემით.

—

გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში. 9,000 მან. 10 მილ. ფონდიდან ნაფიც მსაჯულთა სიების შესადგენად.

მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსებული სასოფლო სამეურნეო კურსები.

მიწათ მოქმედების სამინისტროსთან არსებულ სამსემესტრიან სასოფლო-სამეურნეო კურსების ოთხ-სემესტრიანად გადაკეთების შესახებ და კურს დამთავრებულთათვის აგრონომის წოდების მინიჭების შესახებ კანონ-პროექტი მიღებულ იქმნას და დასამტკიცებლად გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ჯარის სურსათისათვის.

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 15 მილ. მან. ჯარისათვის საჭირო სურსათის დასამზადებლად. ამის შესახებ შესაფერი დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

სად. კანკასთან მატარებელზე თავდასხმის გარშემო

სადგურ კანკასთან ჩქარ მატარებელ № 1-ზედ თავდასხმა, მიღებულ ცნობების მიხედვით ასე იხატება:

30 ღვინობისთვეს, დაახლოვებით საღამოს 9 საათზე, მე-252 ვერსზედ, სადგურ კათისხევიდან 2 ვერსის დაშორებით, ლიანდაგთან მოსულან შეიარაღებული პირები, დაახლოვებით 50 კაცამდე, შეუპყრიათ ლიანდაგის დარაჯი, შეუკრავთ და ლიანდაგიდან დაცილებით თხრილებში ჩასაფრებულან.

გაევლო ორ მატარებელს, მაგრამ ბოროტ-განმზრახველნი თავის ადგილიდან არ დაძრულან.

შემდეგ ისინი გამოსულან ლიანდაგზედ, აუყრიათ იგი და შედგომიან ლოდინს...

მომხდარი უბედურების შესახებ რკინის გზის მილიციის უფროსი ბერძნიშვილი ასე ატყობინებს საოლქო სასამართლოს ბრალმდებელს:

„ღამის 1-ლ საათზედ სადგურ კავთის ხევთან ყაჩაღებმა გაძარცვის მიზნით აჰყარეს ლიანდაგი, რის გამო ორთქლმავალი ლიანდაგს გადასცდა და ხრამში გადავარდა საბარგო ვაგონთან ერთად.

ორთქლმავალი და საბარგო ვაგონი სრულებით დაიმსხვრნენ; ლიანდაგს გადასცდენ და დაზიანდენ 3 სამხედრო ვაგონიც: 2 მესამე კლასის და ერთი მეორესი.

მატარებლის მცველები გადმოსხდენ ვაგონებიდან და ყაჩაღებს სროლა აუტეხეს, რამაც ერთ საათს გასტანა; ყაჩაღები სროლითვე უკუ იხევდენ და გარბოდენ.

სროლის დროს, მოჰკლეს ერთი ქალი ძუძუმწოვარი ბავშვით და ორი მგზავრნი: ქალი და კაცი.

მემანქანეს დაეწვა ორი ფეხი და მემანქანის ორივე თანაშემწე დაიღუპენ.

ყაჩაღებმა მხოლოდ რამდენიმე პირის გაძარცვა მოასწრეს, ვინც პირველად მოხვდა ხელში.

მომხდარ უბედურების ადგილზედ ღამის 1 საათზედ გაგზავნილ იქმნა სასწრაფო მატარებელი სახალხო გვარდიელებით და ვალოდია ოგუძის ჯავშნოსანი, ერთად გაემგზავრა განსაკუთრებული რაზმის უფროსი კედია. ღამის 4 საათზედ გაგზავნილ იქმნა სანიტარული მატარებელი, რომელმაც ჩამოიყვანა დაშავებულნი. ამავე მატარებელს გაჰყვა მოგზაურობის უფროსი ბ-ნი გ. აბელოვი.

ჯერ ჯერობით ბოროტ-განზრახველთა შესახებ არავითარი ცნობები მიღებული არ არის

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება არგენტინის რესპუბლიკის მიერ

12 ღვინობისთვის გაზ: „ჰუმანიტეში" შემდეგი ცნობაა მოთავსებული.

საზავო კონფერენციაზე მყოფი საქართველოს დელეგაცია გვაუწყებს ჩვენ, რომ 15 ენკენისთვეს თარიღით არგენტინის მთავრობამ აღიარა საქართველოს სახელმწიფო, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი."

ქრონიკა

◆ **მთავრობის თავმჯდომარე** ბ. ნ ჟორდანიასთან გუშინ სადარბაზოდ ბრძანდებოდა ინგლისის პოლიტიკურ მისიის თავმჯდომარე მისტერ ოლივერ უორდროპი.

◆ **მთავარ სკოლათა გამგე** ბ ქუმბურიძე თბილისში დაბრუნდა და თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

◆ **ყოფილ კადეტთა კორპუსის** შენობაში უკვე მომთავრდა მუშაობა და სამინისტროები ამ დღეებში გადავლენ.

◆ **ბორჯომის ქალაქის თვითმართველობამ** შუამდგომლობა აღძრა სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე ბორჯომის სკოლების მასწავლებელთათვის ტანთ-საცმლებისა და ფეხსაცმელის დათმობის შესახებ შეღავათიან ფასებში

◆ **ავაზაკის შეპყრობა.** ქუთაისის მაზრის კომისარი ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს რომ მოკლულ ავაზაკის ცანავას ამხანაგი კოლია უგულავა შეპყრობილია.

◆ **იარაღი მეცხვარეებს.** შინ. საქ. სამინისტრომ აცნობა რკ. გზის გენ. გუბერნატორს, რომ თანახმად მინისტრის ბრძანებისა იმ მეცხვარეებს, რომელთაც აქვთ ჩვენ მიერ მიცემული იარაღის ტარების ნებართვები უკიდურეს საჭიროებისათვის არ ჩამოერთვას იარაღი რკინის გზების მიდამოებში.

◆ **ადმინისტრ. ინსპექტორი** ბ. გეგელაშვილი გაემგზავრა გორის მაზრაში.

◆ **სახელმწიფო მომგებიანი ბილეთები კლუბებში.** როგორც გამოირკვა ქართულ ლატარიის ბილეთების გაყიდვა კლუბებში შემდეგ ციფრებში გამოიხატება: ყველაზე მეტი ბილეთი გაყიდულა მეორე ქართულ (ყოფილ ხარფუხესეულში) კლუბში ნიშანდობლ 665000 მანეთისა 4 თვის განმავლობაში, შემდეგ ქართულ კლუბში 470000 მანეთისა. სომხის კლუბში 35000 მანეთისა. სახელოსნო კლუბში 72555 მანეთისა და სხვა დანარჩენ კლუბებში 5000 მანეთისა. საერთოდ ყველა კლუბებში გაყიდულია 1.247000 მანეთის ბილეთი. სულ კი ლატარიის გამგეობას ამ თანხასთან ერთად გაუყიდია 2 მილიონ მანეთის ბილეთი 1 ნოემბრამდე.

◆ **გერმანიაში ტყვედ ნამყოფთა საყურადღებოდ.** რესპუბლიკის მთავრობის მიერ გადადებულია საჭირო თანხა იმ პირთა დასაკმაყოფილებლად, რომელთაც ქალაქ ჰამბურგში საქართველოს წარმომადგენელს ჩააბარეს საკუთარი ფული (გერმანული მარკებით) და სათანადო კვიტანციები მიიღეს. ამ გვარ კვიტანციების მქონეთ კვიტანციების წარმოდგენისთანავე შეუძლიანთ მიიღონ კუთვნილი ფული (3 მ. 50 კ. თითო მარკაში) სამხედრო სამინისტროში, ყოველ დღე კვირა-უქმის გარდა, დილის 10—12 მდე. სამხედრო სამინისტროს კანცელარიის სამნეო ნაწილის საქმის მწარმოებელი ა. ნეიმანი.

◆ **სახელმძღვანელო წიგნები.** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ჰბეჭდავს და ამ დღეებში გასასყიდად გამოუშვებს შემდეგ სახელმძღვანელო წიგნებს: 1) „არითმეტიკულ ამოცანათა კრებული"—ე. ხრამელაშვილისა. ნაწ. I, 2) მისივე კრებული—II ნაწ. 3) მისივე „არითმეტიკის სახელმძღვანელო". 4) გეოგრაფია—„აზია, აფრიკა, ავსტრალია და ამერიკა"—ს. იაშვილისა. 5) „ბუნების მეტყველება"—მისივე 6) „ქართული ლიტერატურის ისტორია ძველი დროიდან 18 საუკუნის გასულამდე"—პროფ. ა. ხახანაშვილისა და 7 და 8) „დედაენა" I და II ნაწ. ყველა ჩამოთვლილი გამოცემა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროსაგან მოწონებულია, როგორც საუკეთესო სასკოლო სახელმძღვანელო წიგნები.

კრებები.

◆ დღეს, კვირას, 2 გიორგობისთვეს დილის 11 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში შესდგება სტუდენტთა კოოპერატივის დამფუძნებელი კრება. დღის წესრიგში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად არის კოოპერატივის გამგეობის არჩევნების საკითხიც.

◆ **ვასილ ბარნოვის საიუბილეო კომიტეტის** სხდომა დანიშნულია სამშაბათს, 4 გიორგობისთვეს, საღ. 7 საათზე რესტორან „ანნონას" ბინაზე.

სამხატვრო ქრონიკა

თეატრი და მუსიკა.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** დღეს, 2 გიორგობისთვეს „ურიის ქალი". სამშაბათს, „აიდა", ოთხშაბათს, „დარდი".

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან.

მეამბოხეთა ოფიციალ. წარმომადგენელი სტამბოლში.

„ანატოლიის და რუმელიის ეროვნულ უფლებათა დამცველი" ორგანიზაციას სივასიდან სტამბოლში გაუგზავნია პოლკ. ყარა-ვასიფ ბეი, როგორც ოფიციალური წარმომადგენელი სტამბოლში. („აზ.").

ქურთული ტომები ინგლისელთა წინააღმდეგ.

აღმოსავლეთ ანატოლიაში ქურთუ-

ლი ტომები ინგლისელების წინააღმდეგ აჯანყებულან. შეტაკება მომხდარა სულიმაში, კირკუში, არბილში და დუკაისში. („აზხ.“).

ოსმალეთის საკითხის გარშემო.

პარიზის გაზ. „ორდრ პუბლიკ“ ოსმალეთის მდგომარეობის გამო ამბობს, რომ საფრანგეთს არ შეუძლიან შეთანხმდეს თვით იმაშიაც, რომ ოსმალეთი მიღებული იყოს საიდუმლო მფარველობის ქვეშ, ოსმალეთის მთავრობაზე უნდა საერთაშორისო კონტროლი დაინიშნოს და არა თურქული ტერიტორიები უნდა გამოეყვნენ მისგან.

ქაჯაზნუნი ლონდონში.

13 ენკენისთვეს ლონდონს ჩავიდა სომხეთის ყოფილი მმართველი ქაჯაზნუნი გენ. ყორღანოვის და სხვათა თანხლებით. სომხის ახალშენები დიდი პატივით შეხვდნენ და მიიღეს თავის სამშობლო რესპუბლიკის წარმომადგენელნი. („ვერაწ.“).

იტალია და ფიუმე.

რომიდან იტყობინებიან, რომ მინისტრთა საბჭო თანხმაა ფიუმეს შესახებ შემდეგი დადგენილება მიიღოს:

იტალიის ჯარი ფიუმეს დაიჭერს დროებით, ვიდრე საზავო კონფერენცია არ გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას, მაგრამ იტალიას უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ფიუმეს მანდატი ხალხთა ლიგის მიერ მინიჭებული იქნება მისდამი.

დანუნციო და საფრანგეთის მწერლები.

საფრანგეთის მწერალთა ჯგუფმა, რომელთა შორის მოქცეულია ისეთი ცნობილი სახელები როგორიც ჰენრი ბარბიუსსი, გეორგ დუგამელი, ვიკტორ სირიელ რაიმონდ ლეფერმ და პიერ შენი—გაბრიელ დანუნციოს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც სხვათა შორის სწერენ:

„ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი,—მონაწილენი ომისა—არ ვივიწყებთ იმ დამსახურებას, რომელიც თქვენ მიგიძღვით ლიტერატურულ მსოფლიოს წინაშე, მაგრამ არ შეგვიძლიან არ ვაღიაროთ ჩვენი გულის ტკივილი იმის გამო, რომ ეგზომ სახელოვანი ოსტატი თავისი ტალანტით და ნიჭით ესარჩლება მეომარ ნაციონალიზმს.

ომის დამთავრების დღიდან ჩვენ ვხედავთ თქვენში მხედარს, კაცობრიობის წინაშე ამხედრებულს, რომლისთვისაც ჩვენ სისხლს ვღვრიდით.

საფრანგეთის ზოგიერთი მწერლები, წინააღმდეგ, ხოტბას ასხამენ დანუნციოს „კეთილშობილურსა და რაინდულს“ გალაშქრებას ფიუმეზე.

აზერბაიჯანი

მთავრობის კრიზისის გარშემო

ახალ კაბინეთის სიაში ასახელებენ ნაცნობ სახელებს: ნ. ბ. უსუბეკოვს, ხან-ხოისკის, მელიქ-ასლანოვს, მეხმანდაროვს და „იტტიხადინ“—მამედბეკოვს. „ჰუმმეტისა“ და „ეხრარის“ პარტიები ოპოზიციაში რჩებიან. „ჰუმმეტელებს“ განზრახვა აქვთ შევიდნენ კაბინეთში მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადო პოლიტიკური პლატფორმა შეიცვლება.

ინგლისელთა ოკუპაციის შესახებ

გავრცელებული ხმები, თითქოს ინგლისელთა მიერ ხდებოდეს ქ. ბაქოს ოკუპაცია და სატახტო ქალაქიც განჯაში გადაჰქონდეთ მთავრობის მიერ უარყოფილია. მთავრობის წრეებში სრულიად არაფერი იციან ინგლისელთა ბაქოში ჩასვლის შესახებ.

ჩ. განჯინსკის ჩამოსვლა

ბაქოში ჩამოვიდა პარიზში საზავო კონფერენციის დელეგაციის წევრი აზერბაიჯანის მამედ ჰასან განჯინსკი.

მინისტრთა საბჭოში

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა მინისტრთა საბჭოს გადასცა განსახილველად განცხადება [illegible] და კოზისა, სანთლის ქარხნის მოწყობის შესახებ.

ფოსტა-ტელეგრაფი ევროპასთან.

ინგლისის მთავარ კომისარმა ამიერკავკასიაში ოლივერ უორდროპმა საქართველოში მყოფ აზერბაიჯანის წარმომადგენლის საშუალებით მიჰმართა ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრს, მოაწყოს ფოსტა ტელეგ. დამოკიდებულება ევროპასთან. მინისტრმა აღნიშნა, დიდი სიძნელე ფოსტა-ტელეგრაფისა ინგლისთან განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბათუმის ნავთსადგური ინგლისს გადაეცა. ამასთანავე მინისტრს საჭიროდ მიაჩნია, განსაზღვროს მისაღებ საქონლის პუნქტები ინგლის საქართველო-აზერბაიჯანს შორის.

ამბროსი პირველი

(† 2 ნოემბერი 1918 წელი).

ვინც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველს დამფუძნებელს ყრილობას დაესწრო, მას ამბროსი პირველის სახე არ დაავიწყდებოდა. შორეულს სვანეთიდან მოევლინა ის ყრილობას ორი სვანის თანხლებით და ყრილობის მუშაობაში რაღაც ახალი არწივისებური ცეცხლი შეიტანა.

ამბროსი პირველი ხალხიდან მოვიდა და ხალხისკენვე გაეშურა ყრილობის შემდეგ. მალე ამის შემდგომ ლეჩხუმ სვანეთში დიდი უბედურობა დატრიალდა. ხალხმა მთავრობას სთხოვა რამოდენიმე მექრთამე და თვითნება მოხელის გამოცვლა. ეს მოხელეები განრისხებული ქუთაისს გაეშურნენ, იქ ხალხის ეს თხოვნა კონტრ-რევოლუციათ მონათლეს და იქიდან ჯარები წაიყვანეს მაზრის დასამორჩილებლად. მაზრა სრულიად უმთავრობოდ დარჩა. ის კანონ გარეშე იყო გამოცხადებული ცნობილი კაუჩხაშვილის ბრძანებით. ყოველს თავაღებულ ელემენტს სრული თავისუფლება ენიჭებოდა. აქ გაჩნდა სვანეთიდან ამბროსი პირველი თავის სვანთა რაზმით და კარგა ხანს მაზრა ანარქიისაგან დაიხსნა. სანამ ის პატრონობდა უპატრონოდ მიტოვებულ მაზრას ლეჩხუმში სრული სიწყნარე იყო. ბევრი მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა აღკვეთა მან მაზრას, რომელიც ღვთის ანაბარად იყო მიტოვებული. ამით აიხსნება, რომ მთელი ლეჩხუმი მის სახელს დიდის პატივისცემით და სიყვარულით იგონებს. მაგრამ მიტოვებულ მაზრას მალე მოევლინენ ახალი პატრონები. სამეგრელოდან ამოვიდა საშა გეგეჭკორი თავის ბოლშევიკებით. მან შემოიკრიბა დეზერტირები და ყაჩაღები და ლეჩხუმში ბოლშევიკური მთავრობა გამოაცხადა. ამბროსი პირველი იძულებული გახდა ლეჩხუმი დაეტოვებინა. ამის შემდგომ იწყება ლეჩხუმში ბოლშევიკ მენშევიკური ბრძოლა და სისხლის ღვრა. ამის შემდგომ ამბროსი მუშაობს რაჭაში და ისევ სვანეთში. ის ხალხს არ სცილდება. მის შემწეობით ხალხი, რომელსაც ძველი მთავრობის დამხობის შემდგომ არც ერთი მთავრობის წარმომადგენელი თვალით არ უნახავს, მშვიდობიანობა და წესრიგს ინარჩუნებს და ბოლშევიზმით არ იწამლება.

მის ჭაბუკურს გულწრფელობით აღგზნებულს ხალხის სამსახურს დიდი შედეგი ჰქონდა. მას მთელი სვანეთი ეთაყვანებოდა. განსვენებული დაავადმყოფდა ამ მეტად ნერვიულ მუშაობაში და წარსულს წელს 2 ნოემბერს გარდაიცვალა თავის სოფელში.

განსვენებული თვალსაჩინო მოღვაწე იყო ჩვენს პარტიაში. მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანიზაციის დაარსებაშიც მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქუთაისის სემინარიაში ყოფნის დროს.

ხალხში არასოდეს არ იკარგება ასეთი წრფელი მუშაობა. ამბროსი პირველის მუშაობის ნაყოფი იყო ის, რომ სვანეთის იმ საზოგადოებაში, სადაც ის სცხოვრობდა ყველა ხმები ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო, მიუხედავად სასტიკი პარტიული ბრძოლისა ამას წინეთ მომხდარ დამფუძნებელ კრების არჩევნებში. სხვა პარტიებმა კომისიაში დასანიშნავადაც ვერ იშოვეს [illegible] თავისი პარტიის კაცი. მეორე მეზობელ საზოგადოებაშიც სხვა პარტიებმა მხოლოდ ათიოდე ხმა მიიღეს. და ყოველივე ეს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პარტიას სვანეთი ამბროსის მერე სრულიად მიტოვებული ყავდა.

გარდაცვალების წლის თავზე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მწუხარებით მოიგონებს თავის ერთგულს მუშაკს, რომელიც მოევლინა მას შორეულ სვანეთიდან, როგორც ხალხის მოციქული და წაიღო ხალხთან მისი იდეალები. საუკუნო იქნება მისი ხსენება ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატების დასში.

მიხ. ხერხეულიძე.

სოფიიდან თბილისამდე

ირაჟრაჟი... დავიქირავეთ ოსმალო „ფაეტონჯი“ (მეეტლე), დავწყეთ ბარგი და ცხენებმა გაგვაქანეს სწორე ქუჩებში. დღესაც მოღრუბლულია ცა. ქუჩები დასველებულია. გრილა. ცარიელ ქუჩებში არავინ სჩანს, ჯერ ძალიან ადრეა. უყურებთ ჩაკეტილ ფანჯრებს და დუქნების წარწერებს (აბრებს). ვოცდებით. სომხის გვარები წარწერებში ყველას სჭარბობს! მართლაც რომ უნებლიეთ გვებადება კითხვა: სად არის ნამდვილი სომხეთი? ნუ თუ მთელი მსოფლიოს ქალაქები სომხებისა გამხდარა? ნუ თუ ისინი უარჰყოფენ თავიანთ სამშობლოს, არ უყვართ იგი, რომ გაფანტულან ყველგან და სულაც არ ფიქრობენ შინ დაბრუნებას. მაგრამ სომეხს ცარიელ სომხეთში რა დარჩენია! მას სამშობლო იქ არის, სადაც ფულს მოიგებს. ეს სომხის ბუნებად გადაქცეულა. ამ მხრით ისინი არ ჩამოუვარდებიან ისრაელთ!.

მივედით სადგურზე. ბილეთების ყიდვა არ დაგვჭირდა. სამხედრო ტყვეებს ნება გვაქვს უფასოდ მგზავრობისა ისევე, როგორც ბულგარელ აფიცრებს და ჯარის-კაცებს, რომელნიც შინ ბრუნდებიან.

მდ. დუნაის შემოდგომის ნისლი ჩამოსწოლია და აღარა სჩანს. რუმინეთის ქალაქი და ნაპირიც დამალულან.

ვაგონის ცარიელ კუპეში დავიჭირეთ ადგილი. მალე ჩვენთან ბულგარელი აფიცრები შემოვიდნენ. და ერთი ქალიშვილიც. ამ ბულგარელ აფიცრებს სწორედ ვეღარ დავახწიეთ თავი! ვიცი, ისევ პოლიტიკაზე დაიწყება ლაპარაკი და მეც მომიხდება ტალანში ფეხზე დგომა...

ცოტა ხანს უკან მატარებელი დაიძრა.

პატარა სადგურები მიჩვენებებსავით ჰქრებიან და მათზე სულ არ ვჩერდებით. ბულგარეთში, საერთოდ, ძალიან კარგად დადის მატარებლები. ნამდვილად გერმანელებისგან თუ ისწავლეს! ერთ სადგურზე ჩვენს კუპეს მოემატა ერთი დედაბერი და ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ხელში ჰყავნდა აყვანილი პატარა ავადმყოფი გოგონა. როგორც გავიგეთ, ახალგაზრდა ქალი იყო სოფლის მასწავლებელი, ხოლო პატარა ლამაზი გოგონა მისი მოწაფე ქალი. ამ უკანასკნელს მშობლები არ ჰყავნდა და მასწავლებელს შვილობილად აეყვანა. ეხლა კი ექიმთან გასასინჯად მიჰყავნდა მეორე, დიდ სოფელში. ქალი ძალიან სწუხდა ბალღის ავადმყოფობას და დიდი მზრუნველობა ეტყობოდა. დედაბერი ამ პატარა გოგონას ბებია იყო. მასწავლებელი ქალი გამოგველაპარაკა და გაიგო ვინც ვიყავით. არ გასულა ხუთი წუთი, გამოგვიწოდა ღვინით სავსე ჩარექი და „მირთვით შინაური ღვინოა“-ო გვითხრა. ამ დროს ვსაუზმობდით და მოგვიხდებოდა ღვინო, მაგრამ უარი უთხარით...

ქალი, დიდი ხანი არ იყო რაც მასწავლებლობდა და ძლიერ კმაყოფილი იყო ამ სამსახურით. უყვარდა თავის პატარა მოწაფენი და გულმოდგინედ ასწავლიდა... მართლა და ამ გვარი ადამიანები დიდ სამსახურს უწევენ სოფელს ის უბრალო ქალი იყო, არაფერს ჰთაკილობდა და ერთად ერთი მიზანი ჰქონდა—ბავშვების აღზრდა..

მალე მივედით კიდეც იმ სადგურზე, სადაც უნდა ჩამოსულიყვნენ ისინი. დავრჩით ისევ მარტონი.

— კასპიჩან! – დაიძახეს მატარებელში. ეს იყო მიზრდილი სოფელი, სადაც უნდა ჩამოვსულიყავით სხვა მატარებელში გადასაჯდომად, რადგან ჩვენი მატარებელი ვარნაში არ მიდიოდა. გვითხრეს 2 საათის შემდეგ იქნება მატარებელიო, ჩამოვედით და ჩამოვიტანეთ ჩვენი ბარგი. სადგური თურქ ხალხით სავსე იყო, [illegible]. სადგურის უკან „Питателенъ пунктъ“-ი იყო, ზედ გაკრული წითელ ჯვრისა. გავწიეთ იქით. მოსამსახურენი იქ სულ რუსის ჯარის კაცნი იყვნენ... გაუხარდათ რუსის აფიცრის ფორმაში გამოწყობილთა დანახვა, შემოგვეხვივნენ და დაგვიწყეს სხვა და სხვა ამბების კითხვა. მათ შორისაც მომხდარიყო გამოყოფა უკრაინელებისა, რომელთაც სხვა რუს ამხანაგებთან ერთად ყოველივე იმედი დაჰკარგოდათ შინ დაბრუნებისა. „Пунктъ“-ში დაგვალევინეს შაქრიანი ჩაი, ყველით და პურით, რაც ბულგარეთში მდიდართათვისაც კი სანატრელი გამხდარიყო. ფულით ვერაფერს იშოვნიდით, რამდენიც უნდა მიგეცათ. ყველაფერი მთავრობას ჰქონდა აღებული და ბარათებით ანაწილებდა წუმწუმიდან მოყოლებული შაქრამდე. კილოგრამში რომ 100 ლევიც მიგეცათ 1 გრამ იმაზე მეტ პურს ვერ იშოვნიდით, რაც დაწესებული იყო. ხორცი, პური, შაქარი, რძე, ყველი, კვერცხი, წუმწუმა თუ სხვა ფულით არსად იყიდებოდა. უბარათოდ შეგეძლოთ გეყიდნათ თამბაქო, მჟავე ღვინო, რომელიც 4-6 ლევი ღირდა და ბაზარზე—პამიდორი, წიწაკა და ხილი. ღვინის სარდაფები სავსე იყო მხოლოდ მჟავე ღვინით, საჭმელი კი არაფერი ჰქონდათ. ცხოვრება მართლაც გაჭირვებული იყო და რაღა იქნებოდა ტყვეთათვის, რომელთაც ბარათები არ ჰქონდათ და დღეში 500 გრამ მჭადის და სამი თავი ხახვის მეტს არაფერს აძლევდნენ?? მუშაობით კი დილიდან საღამომდე ამუშავებდნენ: გზებზე, მინდვრებში და სხვაგან. ტანსაცმელსაც არ აძლევდნენ და საბრალო ტყვეები ზამთარში ფეხ-შიშველნი და მშიერ-მწყურვალნი მუშაობდნენ.

მაკედონიაში დღეში ათობითა ოცობით იხოცებოდნენ რუსის ჯარის კაცნი და ეს იმ ქვეყანაში, სადაც ყოველ ნაბიჯზე რუსის ჯარის კაცის სისხლი იყო დაღვრილი ამ ორმოცი წლის წინად და სადაც ყველგან, როგორც მთებში, ისე ქალაქებში აქამდე რუსის ძეგლები სდგას, წარწერებით. ბულგარელები დღესაც კი „Батюшки“-ებს ეძახიან რუსებს და მათდამი სიმპატია დიდია!.. რუმინელი და სერბიელი ტყვეებისათვის ხომ პირდაპირ ჯოჯოხეთი იყო აქ ყოფნა. ისინი ასობით იხოცებოდნენ. ბულგარელები მათ ისე ეპყრობოდნენ როგორც პირუტყვებს, არ ინდობდნენ და ყოველმხრივ ავიწროებდნენ რუსებზე უარესად. ეს იმით აიხსნება, რომ ამ ბალკანეთის ხალხში ძველადგან ეროვნულ ნიადაგზე დიდი სიძულვილია ერთმანეთისადმი, შარშან ზაფხულს ომის დროს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა ასპარეზზე, რომ გამხეცებულ ბულგარელებს და სერბიელებს ერთმანეთი ტყვედ აღარ მიჰყავდათ და ყველას ჟლეტდნენ.

სამაგიეროდ უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ ფრანგ ინგლისელთა ტყვეები. მათ ჯარის კაცებს მხოლოდ ბაღებში ამუშავებდნენ. აფიცრები კი საუკეთესოდ სცხოვრობდნენ. ქ. სოფიაში იყო გამართული მათი ბანაკი და ყოველ კვირა საფრანგეთიდან და ინგლისიდან, როგორც თავისიანებისაგან, ისე წითელ ჯვრიდან აუარებელი ამანათები მოსდიოდათ: საჭმელ-სასმელი, ფული, ტანთ-საცმელი. აფიცრებს საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ მრავალი წიგნებით, თავიანთი სამზარეულო და ბულგარელებისას არაფერს ღებულობდნენ. დროს ძალიან კარგად ატარებდნენ და ათას გვარი გასართობები ჰქონდათ: ფუტ ბოლი და სხვა.

სხვათა შორის ერთი ინგლისელი ტყვე აფიცერი სცხოვრობდა სოფიაში. მას ცალკე ოთახი ჰქონდა საცხოვრებლად და ცალკე ჯარისკაცი ჰყავნდა მიჩნეული. ფული აურებელი მოსდიოდა. საღამოობით ყავას, ნავთის უქონლობის გამო, ბულგარულ ქაღალდის ფულებით ანთებულ ცეცხლზე იცხელებდა ერთხელ მოინდომა სინემატოგრაფში წასვლა, დაიქირავა ორიათას ლევად მარტომ სინემატოგრაფი, დაჯდა და უყურა. ამისთანა საქციელი მართლაც რომ ინგლისელისგან იყო მოსალოდნელი...

მაგრამ... ისევ კასპიჩანს დაუბრუნდეთ. „Питателенъ пунктъ“-ში რომ დავნაყრდით, ისევ სადგურზე გამოვედით, რომ გაგვეგო როდის იქნებოდა ვარნის მატარებელი. გვითხრეს, თუ გეჩქარებათ ერთი საათის უკან იქნება საქონლის მატარებელი და იმას წაჰყევითო, თუ არა სამგზავრო მატარებელი დაიგვიანებს და ღამის პირველ საათზე გავა აქედან, თუმცა უფრო ადრე ჩავა ვარნაშიო. ღამის პირველ საათამდე სადგურზე ცდას ვარჩიეთ საქონლის მატარებლით ჩაკრაკუნება და ამიტომ დავწერეთ რა რამდენიმე წერილი სოფიაში, ავედით საქონლის მატარებლის ერთ-ერთ ვაგონში, სადაც ისევ რამდენიმე ბულგარელი აფიცერი და ჯარის კაცი იმყოფებოდნენ.

უკვე შებინდდა და სადგურზე სინათლე აინთო. ჩვენი ვაგონი კი უფრო და უფრო ბნელდებოდა, რადგან სინათლე არ გვქონდა. დარეკეს პირველი ზარი. ბულგარელი ჯარის კაცები და სხვა გლეხები, რომელთაც სურდათ ჩვენ მატარებლით წამოსვლა, იერიშით მოეკიდნენ და დაიკავეს ყველა ვაგონები ჩვენის გარდა, რადგან ჩვენთან მყოფთ ერთგვარ ხერხს მიჰმართეს, რომ ჩვენ ვაგონში არავინ შემოეშვათ. ვინც მიუახლოვდებოდა, ყველას ეუბნებოდნენ:

— Тукъ не може. Тукъ—поща!.. (აქ არ შეიძლება, აქ ფოსტაა). და საბრალონი უკანვე ბრუნდებოდნენ, რადგან ჩვენ ბნელ ვაგონში ვერ ჰხედავდნენ მართლა ფოსტა იყო, თუ სხვა რამე...

ზოგიერთ გამბედავმა სცადა „Поща“-ს შეჭკედლებოდა, მაგრამ ამაოდ. თუ ბულგარელ ჯარის კაცის გაფრთხილება არ გასჭრიდა, მაშინ აფიცრის მკაცრი ბრძანება გააბრუნებდა ხოლმე და უნდა გენახათ მაშინ იქ მჯდომთა სიცილ-ხარხარი...

მატარებელი დაიძრა და ისე მარდად გაგვიტაცა, რომ სამგზავრო მატარებელს არ ჩამოუვარდებოდა სიჩქარეში. ეს კი იყო, რომ გვანჯღრევდა და ფეხზე დგომა გვიხდებოდა.

შუაღამე გადასული იყო, როცა ერთ სადგურზე გავჩერდით კარგა ხანს, სამგზავრო მატარებლის გასაშვებად. მალე ჩვენს გვერდით გაისრიალა მატარებელმა, სადაც სინათლე და სითბო არ აკლდათ მგზავრებს. მაშინ კი ვინანეთ, რატომ სამგზავროს არ დაუცადეთო, მაგრამ ამას ვინატრებდით, სამგზავრო მატარებლის კვალიც აღარსად სჩანდა. ცოტა ხნის უკან, ჩვენი მატარებელი გამოუდგა წინ გასწრობილს, მაგრამ დაწევის იმედი კი აღარავის გვქონდა.

8.

— ვარნა! ვარნა!

გაისმა ვიღაცის ბულგარული ძახილი საქონლის ბნელ ვაგონში. ამან ისე დაიპყრო გონება, რომ სიცივე დავავიწყა. შორიახლო გამოჩნდა ღამის ცივ ბურუსში გახვეული ქალაქის სანთლები. ველოდით, მალე გაჩერებულიყო მატარებელი და მივეყვანეთ ამ ლამაზ ბულგარულ ქალაქში, რომლის ნახვა ჩვენ მიერ მეორედ იქნებოდა. პირველად, ამ ორი წლის წინად ვიყავით აქ, მაგრამ მაშინდელი აქ ყოფნა ეხლანდელს ვერ შეედრებოდა, რადგან მაშინ ტყვეები ვიყავით, რომელთაც თან გვდევდა ბულგარელი ჯარის-კაცი თოფით და თავისი ძვირფას სიტყვის მასალით „Хайде“-თი. მაშინ, როგორც მე, ისე ჩემი ამხანაგები, მშიერ-მწყურვალნი ვიყავით, შველას არავისგან არ ველოდით, არ ვიცოდით რა მოგველოდა, რას გვიმზადებდნენ, სად მივყავდით. ეხლა კი--განცდილ გაჭირვება ნაილი ტანჯვა უკან დარჩენილიყო, თავისუფალნი, ჩვენს ნებაზედ მოვდიოდით, უჯარის კაცოდ, უზედამხედველოდ. სადაც გვინდოდა გავჩერდებოდით, ვისაც გვინდოდა დაველაპარაკებოდით. ჩვენ სურვილ-ნებას წინ აღარავინ გადაეღობებოდა. რა კარგია თავისუფლება! წარმოიდგინეთ, ორი წლის განმავლობაში თვითეული ჩვენი ნაბიჯი შეზღუდული იყო ჩვენ მეთვალყურეთაგან, თვითეული ჩვენი სურვილი დახშული იყო, პიროვნება შელახული. ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო დამოუკიდებლად, არც სეირნობა არც ჩვენ ნებაზე ადგომა და დაწოლა და სხვა. და ეხლა კი სულ სხვანი ვიყავით, ახალ ცხოვრებას ვიწყებდით და ამის გრძნობა სწორედ ბედნიერება და უზომო სიხარული იყო ჩვენთვის.

საქონლის მატარებელი გრიალით მიექანებოდა მდ. დუნაის ნაპირას და თითქოს არ უნდა გაჩერებულიყო, სვლას არ უკლებდა, თუმცა სინათლეები უკვე ძალიან ახლო სჩანდა. ბურუსში გახვეული შუაღამის მთვარე ისე ანათებდა, რომ კარგად სჩანდა მდ. დუნაის ნაპირი ხშირ ბალახ-ბუჩქებით მორთული. ღამის სიგრილე ისეთი საგრძნობელი შეიქმნა, რომ ხელ-ფეხი მთლად დაგვაზრო, მაგრამ ის ფიქრი, მალე ქ. ვარნის რომელიმე სასტუმროს ქვეშ მოვექცეოდით და გავთბებოდით—გვავიწყებდა სიცივეს ვაგონის ღია კარებთან ვიდექით და გავყურებდით წინ მდებარე ქალაქს. მატარებელმა სვლას უკლო და ვარნის სადგურზე გაჩერდა. ჩამოვხტით, ჩამოვალაგეთ ბარგი და ერთი ჩვენი ამხანაგთაგანი წავიდა „Фаетонджий“-ის დასაძახებლად... ქალაქს ეძინა მაღალ კოხტა სახლებში, რომლის ზოგ ფანჯარაში ჯერ კიდევ სჩანდა სინათლე. მოვიდა მეეტლე. ჩავსხედით და შევუდექით სასტუმროს ძებნას ვიწრო ქუჩებით...

ბევრი სიარულის შემდეგ ვიშოვეთ თავისუფალი ნომრები სასტუმრო „ლონდონში“, რომელიც ვარნაში უპირველესთაგანად ითვლება და სადაც თითო ოთახი დღეში 5 ლევი (2 მ. 50 კ.) ღირს, ნამგზავრებმა გულიანად დავიძინეთ დილის მოლოდინში.

არჩილ მაჭავარიანი

(შემდეგი იქნება)

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ, თქვენს პატივცემულ გაზეთში ქვემოხსენებული ბარათი მოვათავსოთ:

ქართველ მომღერალთა პროფესიონალ კავშირის საზოგადო კრების დადგენილებით, კავშირის გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს თეატრალურ—საზოგადოებრივ კლუბს იმ სისტემატიურად ნივთიერ დახმარების გამო, რომელსაც უკანასკნელი უწევს ზემოხსენებულ კავშირს.

გამგეობა.

მიმოსვლა

სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ.

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს. 5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	საღ.	8 ს. 7 წ.
ბათომში	№ 5	საღ.	5 ს. 4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს. 56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს. 30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს. —
ფოთიდან	№ 4	საღ	8 ს. 45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს. 10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს. 30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს. 06 წ.

თბილისი-ხალოღლი

გადის ხალოღლში

№ 8	საღამოს	6 ს. 5 წ.
№ 6	შუაღამის	2 ს. 32 წ.
№ 4	საღამოს	9 ს. 50 წ.

მოდის ხალოღლიდან.

№ 3	დილის	7 ს. 27 წ.
№ 5	ნაშუად.	3 ს. 5 წ.
№ 7	დილის	11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გადის

№ 63	შუაღამის	2 ს. 40 წ.
№ 61	დილის	7 ს. 52 წ.
№ 19,20	შუად.	3 ს. 26 წ.

მოდის:

№ 19,20	დილ.	6 ს. 30 წ.
№ 62	დილ.	11 ს. 24 წ.
№ 64	საღ.	8 ს 4 წ.

თბილისი-სანაინა

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არას სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

დოქტორი მედიცინისა
მიხეილ ანთიმოსის ძე
ყალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3., ტელეფონის № 17-21.

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდიევი
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10--12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. 1-მდე სპეციალად ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე **მიხეილის ქუჩა № 7** ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.
50—2559—1

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. [illegible]
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყ ფოსტთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
ბ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, [illegible] გულისა. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი [illegible] და [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8—1 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7 92.

[illegible] კაბინეთი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
მაკალიანი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოეს პირველი“ ტელეფონი 14—29.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.